

ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური  
თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის  
პროექტი

ხმაურის ფონური დონის გაზომვის და ხმაურის 3D  
მოდელირების კვლევის ანგარიში

მომზადებულია: შპს „ეკო-სპექტრი“-ს მიერ

თბილისი 2021

## სარჩევი

<b>1</b>	<b>ხმაურის ფონური დონის გაზომვა</b>	<b>3</b>
	1.1 შესავალი	3
	1.2 ხმაურის წყაროები	3
	1.3 ხმაურის დროითი მახასიათებლები	3
	1.4 საკანონმდებლო ნორმები	4
	1.5 შეფასების კრიტერიუმები	7
	1.6 ხმაურის შეფასების მეთოდოლოგია	8
<b>2</b>	<b>ჩატარებული გაზომვები</b>	<b>13</b>
	2.1 ხმაურმოში ხელსაწყო	14
	2.2 გაზომვების ლოკაციები	16
	2.3. მონიტორინგის კამპანიის შედეგები	18
	2.4 ხმაურის მონიტორინგის შედეგები	19
<b>3</b>	<b>დამატებითი გაზომვები</b>	<b>29</b>
	3.1 დასკვნები	41
<b>4</b>	<b>ხმაურის საბაზისო დონის გაზომვა - მისასვლელი გზები</b>	<b>42</b>
	4.1 შავი ზღვის ქუჩა	43
	4.2 ფალიაშვილის ქუჩა	44
	4.3 ჭავჭავაძის ქუჩა	45
	4.4 ხმაურის საბაზისო დონის ინსტრუმენტალური გაზომვის წერტილების შერჩევა	46
	4.5 მოძრაობის ინტენსიობა	48
	4.6 ხმაურის საბაზისო დონის გაზომვის შედეგები	53
	4.7 დაფიქსირებული მაქსიმალური ხმაურის დონე და მათი წყაროები	56
	4.7.1 ფალიაშვილის ქუჩა	57
	4.7.2 შავი ზღვის ქუჩა	58
	4.8 დასკვნები	60
<b>5</b>	<b>ხმაურის მოდელირება (მშენებლობის ეტაპი)</b>	<b>61</b>
	5.1 გამოყენებული რესურსები	62
	5.2. ხმაურის გავრცელება ექსპლუატაციის ეტაპზე	72
	5.3 ხმაურის გავრცელება საპროექტო საავტომობილო მისასვლელი გზის გასწვრივ	70

# ხმაურის ფონური დონის გაზომვის და ხმაურის 3D მოდელირების კვლევის ანგარიში

## 1. ხმაურის ფონური დონის გაზომვა

### 1.1 შესავალი

ხმაური არის ნებისმიერი არასასურველი ბგერა ან სხვადასხვა სიხშირისა და ინტენსივობის ბგერების უწყსრიგო ერთობლიობა, რომელიც არასასურველ მოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე.

ფიზიკური ბუნებით ხმაური არის დრეკადი გარემოს (აირის, სითხის, მყარი სხეულის) ნაწილაკების მექანიკური რხევები ადამიანის სმენის ანალიზატორის აღქმის ფარგლებში (16ჰც - 20კჰც), რომელიც აღმოცენდება გარკვეული ძალის ზემოქმედებით. ამასთან, ბგერას უწოდებენ რეგულარულ პერიოდულ (სინუსოიდურ) რხევებს, ხოლო ხმაურს მათ უწყსრიგო ერთიანობას, არაპერიოდულ, შემთხვევით რხევით პროცესებს. ამრიგად, ჰიგიენური თვალსაზრისით, ხმაური არის სხვადასხვა სიხშირის და დონის ბგერების ერთიანობა, რომელიც ხელს უშლის სასარგებლო ბგერითი სიგნალის (მუსიკის, საუბრის და ა.შ) აღქმას და იწვევს ადამიანის ორგანიზმზე არასასურველ, გამაღიზიანებელ მოქმედებას. ხმაური იყოფა სპექტრის, ხასიათის და დროის მახასიათებლების მიხედვით.

### 1.2 ხმაურის წყაროები

ხმაურის წყაროები, წარმოქმნის ადგილის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფად იყოფა:

- ქალაქის დასახლებაში ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს საავტომობილო მოძრაობა, რომლის წილი ხმაურის დაბინძურებაში ყველაზე მაღალია. ავტომობილების რაოდენობა, სიჩქარე, ურბანული განაშენიანება და საავტომობილო მოძრაობის სისტემა ის ძირითადი პარამეტრებია, რომლებსაც გააჩნიათ ხმაურის გავრცელებაზე გავლენა. ასევე, გამოსაყოფია მძიმე ავტომობილების წილი საერთო საავტომობილო პარკში;
- საცხოვრებელის შიდა წყაროებს მიეკუთვნება საინჟინრო, ტექნოლოგიური და საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა, აგრეთვე ადამიანის საქმიანობა;
- მიკრორაიონის (კვარტლის) ფარგლებში ადამიანის ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული წყაროები, როგორიცაა სათამაშო და სპორტული მოედნები, ტერიტორიის დასუფთავება და სხვა;
- გარეთა წყაროებია სამრეწველო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა.

### 1.3 ხმაურის დროითი მახასიათებლები

დროითი მახასიათებლების მიხედვით გამოიყოფა:

ა) მუდმივი ხმაური, რომლის ბგერითი დონე სამუშაო ზონაში 8-საათიან სამუშაო დღეს ან საცხოვრებელ და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურმოზომის დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას იცვლება დროში არა უმეტეს 5 დბ-ით;

ბ) არამუდმივი ხმაური, რომლის დონე სამუშაო ზონაში 8 საათიან სამუშაო დღეს, სამუშაო ცვლაში ან საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურმოზომის დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას იცვლება დროში არა ნაკლებ 5 დბ-ზე მეტი სიდიდით.

არამუდმივი ხმაური იყოფა:

1) **დროში მერყევი ხმაური**, რომლის ბგერის დონე უწყვეტად იცვლება დროში;

2) **წყვეტილი ხმაური**, რომლის ბგერის დონე საფეხურობრივად იცვლება (5დბ და მეტით). ამასთან ერთად, იმ ინტერვალების ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში ხმაურის დონე მუდმივია, შეადგენს 1 წამს და მეტს.

3) **იმპულსური ხმაური**, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ბგერითი სიგნალისაგან, თითოეული 1 წმ-ზე ნაკლები ხანგრძლივობით, ამასთან ერთად, ბგერის დონეები დბ-ში, გაზომილი შესაბამისად დროით მახასიათებლებზე - „იმპულსი“ და „ნელა“ განსხვავდება არა ნაკლებ 7დბ-ით.

#### 1.4 საკანონმდებლო ნორმები

ხმაურის დასაშვები ნორმები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით განსაზღვრულია „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება ადგენს ხმაურის როგორც დასაშვებ ნორმებს, ასევე მაქსიმალურ დასაშვებ დონეს სხვადასხვა ტერიტორიებისათვის. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (07:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 07:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის. ხმაურის სტანდარტული მოთხოვნები საცხოვრებელი და კომერციული უბნებისთვის მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ხმაურის დონეები

მიმღების სტატუსი	დროის შუალედი	ხმაურის საშუალო დასაშვები დონე (დბA)	ხმაურის მაქსიმალური დასაშვები დონე (დბA)
საცხოვრებელი	7:00-23:00	55	70
საცხოვრებელი	23:00- 78:00	45	60
კომერციული	დღე-ღამე	60	75

**ცხრილში 2** მოცემულია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მიერ შემუშავებული ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონეები დღის განმავლობაში (07:00-22:00 სთ) და ღამით (22:00-07:00 სთ). როგორც **ცხრილი 2** გვიჩვენებს, საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები იდენტურია ეკვივალენტური ხმაურის დონისთვის საცხოვრებელ ადგილებში და განსხვავდება კომერციული და სამრეწველო სფეროებისთვის 10 დბ (A) - ით. IFC-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ხმაურის ზემოქმედება არ უნდა აღემატებოდეს **2 ცხრილში** მოცემულ დონეს, ან დასაშვებია გადააჭარბოს ფონურ დონეს მაქსიმუმ 3 დბ – ით უახლოეს რეცეპტორთან.

**ცხრილი 2: IFC-ის ინსტრუქციები ხმაურის დონის შესახებ**

მიმღები	ერთი საათი LAeq (დბ)	
	დღისით 07.00-22.00	ღამით 22.00 – 07.00
საცხოვრებელი; ინსტიტუციური; საგანმანათლებლო	55	45
სამრეწველო; კომერციული	70	70

ხმაურის დონეები შენობა-ნაგებობებში და მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №: 398 ტექნიკური რეგლამენტით - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ხმაურის დასაშვები ნორმები მოცემულია **ცხრილში 3**.

**ცხრილი 3: აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე**

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		დღე (დბA)		ღამე (დბA)
		დღე (08:00-19:00)	საღამო (19:00-23:00)	
				(23:00-08:00)

1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების ( $\leq 100$ მ <sup>2</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების ( $\geq 100$ მ <sup>2</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა $\leq 6$ ) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40

14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

#### შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
- აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერის, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.
- ტექნიკური რეგლამენტი # 398 მოთხოვნები არ ვრცელდება: (i) დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე; (ii) საავიაციო, სარკინიგზო საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე; (iii) დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე.

#### 1.5 შეფასების კრიტერიუმები

მიმღებზე ხმაურის გავლენის შეფასებისთვის ორგანიზაციას შედგენილი აქვს კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს, როგორც საკანონმდებლო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებს, ასევე ავტორიტეტული ჯანდაცვის ორგანიზაციების მითითებებს. **ცხრილში 4** ნაჩვენებია ხმაურის ზემოქმედების შედეგად მიღებული გავლენის შეფასების კრიტერიუმები.

#### ცხრილი 4: შეფასების კრიტერიუმები

	შეფასების კრიტერიუმები
--	------------------------

ზემოქმედების სახე	მნიშვნელოვანი (მაღალი) ზემოქმედება	საშუალო მნიშვნელობის ზემოქმედება	ნაკლებად მნიშვნელოვანი (დაბალი) ზემოქმედება
<u>გარემოსდაცითი რეცეპტორები</u>	<p>ხმაურის დონეები დასახლებული პუნქტის საზღვარზე აღემატება დღის საათებში - 55 დბA-ს, ღამის საათებში - 45 დბA-ს.</p> <p>ან</p> <p>სენსიტიურ რეცეპტორებთან აღემატება დღის საათებში - 50 დბA-ს, ღამის საათებში - 40 დბA-ს. ხმაურის ნორმებზე გადაჭარბება ინტენსიურია. მოსახლეობის უკმაყოფილება გარდაუვალია.</p>	<p>ხმაურის დონეები დასახლებული პუნქტის საზღვარზე 3 DbA ნაკლებით აღემატება დღის საათებში - 55 დბA-ს, ღამის საათებში - 45 დბA-ს. თუმცა ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ან დროებითია. სენსიტიურ რეცეპტორებთან ხმაურის დონეები დასაშვებია, თუმცა რეკომენდირებული ა დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება.</p>	<p>ხმაურის ფონური დონეები მცირედით გაუარესდა დასახლებული პუნქტის ან სენსიტიური რეცეპტორების სიახლოვეს. ნებისმიერ შემთხვევაში დაშვებულ ნორმებზე გადაჭარბება მასალოდნელი არ არის. სტანდარტული შერბილების ღონისძიებების გატარება საკმარისია.</p>

## 1.6 ხმაურის შეფასების მეთოდოლოგია

ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული პროცედურის (პროცედურა - სხავდასხვა წყაროებიდან ხმაურის დონის გავრცელების და მიმდებარე რეცეპტორებზე ხმაურის ზეგავლენის შესწავლა ინსტრუმენტალური გაზომვის გზით) შესაბამისად მოხდა ხმაურის კვლევის პროცესების წარმართვა (იხ. ცხრილი 5).



ცხრილი 5: ხმაურის კვლევისას ჩატარებული პროცესების აღწერა

N	პროცესი	პროცედურა	ქვე-პროცედურა
1	გაზომვისა და კვლევის გეგმის შედგენა	არსებული დოკუმენტაციის შესწავლა	პროექტის აღწერის შესწავლა
			საპროექტო კორიდორის (ბუფერის) შესწავლა
			შესრულების პირობების (ToR) შესწავლა
		რეცეპტორების განსაზღვრა	სატელიტური სურათების მიხედვით ხმაურის მიმღები რეცეპტორების განსაზღვრა
		რეცეპტორებთან მისასვლელი მარშრუტის განსაზღვრა	სატელიტური სურათების მიხედვით გადაადგილების მარშრუტების დადგენა, რამაც უზრუნველყო ველზე სამყოფი დროის ეფექტურ გამოყენება
		სენსიტიური რეცეპტორის განსაზღვრა	ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სენსიტიური რეცეპტორები (სკოლა, საავადმყოფო, ეკლესია და ა.შ) გამოვლენა, რომლებზეც ზეგავლენას მაღალი მნიშვნელობა აქვს
		საკვლევი შენობების დანომვრა	შენობების დადგენა, რომლებზეც მოსალოდნელი იყო ხმაურის წყაროს ზეგავლენა და უკეთესი კოორდინირებისთვის მოხდა მათი რუკაზე დანომვრა. შედგენილი რუკის სახეებად განისაზღვრა Google-ის გეოსაინფორმაციო სისტემა
		შენობების იდენტიფიცირება ველზე	შეიკრიბა ინფორმაცია ხმაურის სხვადასხვა წყაროზე, რომლებსაც შეიძლება ჰქონოდათ გავლენა მიმღებზე
			მოხდა შედარება წინასწარ განსაზღვრულ და რეალურად არსებულ რეცეპტორებისა, რათა, სატელიტური სურათის სიძველის გამო არ მომხდარიყო ხმაურის რეცეპტორის გამორჩენა

		რეცეპტორების ნუმერაციის განახლება	ველზე მიღებული ინფორმაციის შედეგად, მოხდა რეცეპტორების დანომვრის განახლება გეოსაინფორმაციო სისტემაში
		გასაზომი წერტილების განსაზღვრა	მიღებული ინფორმაციის საშუალებით დადგინდა ყველაზე მეტად მგრძნობიარე ადგილები, სადაც უნდა ჩატარებულიყო ხმაურის გაზომვა. ამორჩეული ადგილები აღინიშნა და მოხდა ხმაურის საზომი აპარატის განთავსების ზუსტი მდებარეობის შერჩევა
2	გაზომვის ჩატარება	მოხდა ფართის/ტერიტორიის მესაკუთრის ზოგადი ინფორმირებულობა ხმაურის აპარატისა და გაზომვის ჩატარების შესახებ	----
		ხმაურის აპარატის დაკალიბრება	ყოველი გაზომვის ჩატარებამდე მოხდა საზომი აპარატების დაკალიბრება
		ხმაურის აპარატის დამონტაჟება	მოხდა ხმაურის აპარატის დამონტაჟება შტატივზე
			დაყენდა აპარატის კონფიგურაციები
			აირჩა ფართზე/ტერიტორიაზე გაზომვის კონკრეტული მდებარეობა, ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად
			კონკრეტულ წერტილზე დამონტაჟდა აპარატი
		გაზომვის სააღრიცხვო ფორმის შევსება	გაზომვის ნომერი
			ფართის/ტერიტორიის ნომერი
			გაზომვის დაწყების დრო
			გაზომვის დასრულების დრო

			საკონტაქტო პირზე ინფორმაცია
			გაზომვაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
			დამატებითი შენიშვნები
		გაზომვის აპარატის დასურათება	ჩანდა აპარატის მთავარი მენიუ
			სურათში აღიქმებოდა ფართის/ტერიტორიის მთელი სივრცე, ასევე, შეძლებისდაგვარად აპარატის მიმართულება ხმაურის წყაროსკენ
			სურათში ფიგურირებდა გაზომვის ჩამტარებელი, რომელსაც ჰქონდა წარმომადგენლობის მაიდენტიფიცირებელი ატრიბუტი (ბეიჯი, ლოგოიანი ჟილეტი ან სხვა)
		ხმაურის აპარატის დაკალიბრება	ჩატარებული გაზომვის ბოლოს, მოხდა აპარატის ხელმეორედ დაკალიბრება, რათა დადასტურებულიყო აპარატის გამართულად მუშაობის ფაქტი
3	შედეგების ანალიზი	შედეგების გადატანა კომპიუტერში	შედეგების გადატანა განხორციელდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით
			ყოველ ჩატარებულ გაზომვას მიენიჭა უნიკალური კოდი და მოხდა დამახსოვრება კომპიუტერის ვირტუალურ დისკზე
		თითოეულ გაზომვაზე ანგარიშის შედგენა	პროგრამის საშუალებით მოხდა თითოეული გაზომვის ანგარიშის შედგენა, სადაც მოცემული იყო გაზომვის შედეგები და გაზომვასთან დაკავშირებული ყველა დეტალი (თარიღი, მდებარეობა, სტანდარტი, გაზომვის ტიპი, სიხშირე, გადაჭარბების რაოდენობა, შენობის მახასიათებლები და ა.შ.)
		აპარატიდან მონაცემების წაშლა	აპარატიდან კომპიუტერში მონაცემების გადატანისა და ანგარიშების შედგენის შემდეგ მოხდა აპარატში მონაცემების წაშლა

		ხმაურის კვლევის ანგარიშის მომზადება	მოხდა ხმაურის კვლევის დეტალური მახასიათებლების წარმოდგენა
			მოხდა კვლევის მეთოდოლოგიის, სტანდარტებისა და მოთხოვნების აღწერა
			მოხდა ხმაურის შედეგების ჩვენება და ზემოქმედების ანალიზი
			მოხდა რეკომენდაციების შეთავაზება

## 2. ჩატარებული გაზომვები




საკონსულტაციო კომპანიის შპს „ეკო-სპექტრის“ მიერ ხმაურის გაზომვა ჩატარდა 2020 წლის 4 ივნისს. მონაცემების აღება ხორციელდებოდა 24 საათის განმავლობაში. ხმაურმზომების მიერ სინჯის აღების ინტერვალი შეადგენდა 2 წამს. თითოეული ხმაურმზომის მიერ მიღებული მონაცემების საშუალო რაოდენობა 45000 ერთეულია. კვლევის ჩატარებაზე რაიმე სახის გარემო პირობას გავლენა არ ჰქონია (წვიმა, ქარი, ავარიული სიტუაცია და სხვა). ჰაერის ტემპერატურა ქ. ფოთში 4 ივნისს აღწევდა 21 გრადუსს ცელსიუსით, ხოლო 5 ივნისს 22 გრადუსს ცელსიუსით.

საკონსულტაციო ორგანიზაციის შპს. „ეკო-სპექტრის“ მიერ ჩატარებული ხმაურის დონის კონტროლი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე აკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს:

1. ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობებს, გაზომვები ჩატარდა შენობების კონსტრუქციების კედლებიდან არანაკლებ 2 მ-ის დაცილებით, მიწიდან 1,2-1,5 მ-ის სიმაღლეზე;
2. გაზომვის დროს ხმაურმზომის მიკროფონი მიმართული იყო ხმაურის ძირითადი წყაროს მიმართულებით და დაცილებული იყო გაზომვის ჩამტარებელი პირისაგან არანაკლებ 0,5 მ-ით. თუ სათავსში შეუძლებელი იყო ხმაურის ძირითადი წყაროს განსაზღვრა, მიკროფონის მიმართულება ვერტიკალურად ზემოთ იყო მიმართული;
3. ხმაურის გაზომვის შედეგები გაფორმდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ხმაურის დონის მნიშვნელობა აითვალა  $\pm 1.4$  დბA სიზუსტით, სიდიდის საერთოდ მიღებული წესით მეთაურობდნენ დამრგვალების გათვალისწინებით;
4. „IFC“-ის მოთხოვნების შესაბამისად, ხმაურის გაზომვის პერიოდად, ხმაურის წყაროს სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრა 24 საათი. ხმაურის გაზომვა ჩატარდა ხმაურის წყაროს მაქსიმალური ფუნქციონირების პერიოდში. მაგ: სამუშაო დღეების დროს.

გარდა ამისა, დამატებით შეფასდა არსებულ ტერმინალთან მისასვლელ გზაზე მოძრავი მანქანების გავლენა. სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად უნდა დათვლილიყო გაზომვის პერიოდში აღნიშნულ გზაზე გამავალ/მოძრავ ავტომობილთა რაოდენობა სატრანსპორტო საშუალების კლასის მიხედვით (მსუბუქი ავტომობილი, სატვირთო ავტომობილი და სხვა). აღნიშნული ავტომობილების რაოდენობებისა და კლასების შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თვითოეული კლასის ავტომობილის მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე. ამისათვის, საკონსულტაციო კომპანიის თანამშრომლებმა, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით, მოახდინეს ვიდეო-სათვალთვალო კამერის განათების ბოძზე მონტაჟი (სურათი 1, 2, 3, 4). ვიდეო-სათვალთვალო კამერის მიერ ჩაწერილი მასალა დამუშავდა “Smart Traffic Analyzer”-ის პროგრამული უზრუნველყოფით.

სურათი 1: ვიდეო - სათვალთვალო კამერის მონტაჟი	სურათი 2: ვიდეო - სათვალთვალო კამერის მონტაჟი
--	--

	
<p>სურათი 3: მანქანების დათვლის პროგრამული ინტერფეისი</p>	<p>სურათი 4: მანქანების დათვლის პროგრამული ინტერფეისი</p>
	

## 2.1 ხმაურმზომი ხელსაწყო

საკონსულტაციო ორგანიზაციამ შპს „ეკო-სპექტრი“-მ “ხმაურის გაზომვისას გამოიყენა მის საკუთრებაში არსებული ამერიკული „REED“ ფირმის R8080 სერიის 5 ხმაურმზომი (სურათი 5, 6). ხმაურმზომი წარმოადგენს “IEC” 61672-1-ის სტანდარტის მიხედვით მე-2 -ე კლასის აპარატს. აპარატს გააჩნია 64000 ჩანაწერის შენახვის ფუნქცია, ასევე Windows-ის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნულ ხმაურმზომს აქვს შესაძლებლობა შიდა მეხსიერებაზე შეინახოს მიღებული სიგნალები და აღწეროს ყოველი მიღებული სიგნალი დონისა და თარიღის შტამპის შესაბამისად. აპარატს გააჩნია ქარდამცავი თავსაცმი, რომელიც უზრუნველყოფს გარემო პირობების ზეგავლენის შემცირებას ჩანაწერთა აღების დროს (ქარი, ტემპერატურა). აპარატი გამოიყენება შემდეგი სახის წყაროების ხმაურის დონის გასაზომად: სამრეწველო დანადგარების / მოწყობილობების გასაზომად, სამშენებლო ობიექტების გასაზომად, საჯარო ადგილების გასაზომად, საავტომობილო და სარკინიგზო მოძრაობის გასაზომად, გრძელვადიანი გაზომვის

ჩასატარებლად. “საერთაშორისო საფინანსო კორპორაცი“-ის მიხედვით<sup>1</sup> ხმაურის გაზომვა უნდა ჩატარდეს 1-ლი ან მე-2-ე კლასის ხმაურმზომების გამოყენებით, რომლებიც აკმაყოფილებენ “საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომიტეტი“-ს მოთხოვნებს. ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით ხმაურის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს საპროექტო ან არსებული ობიექტის მიმდებარედ არსებული გარემოს ფონური ხმაურის დონის დადგენის მიზნით ან ექსპლუატაციის ფაზის ხმაურის დონის გადამოწმების მიზნით.

სურათი 5: “REED” R8080 ხმაურმზომი	სურათი 6: ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ხმაურმზომები
	

კომპანიის წარმომადგენლებმა შემუშავებული მეთოდოლოგიისა და პროცედურების შესაბამისად, მოახდინეს ხმაურმზომი აპარატების განთავსება. ხმაურმზომის კონფიგურაციებია:

- ხმაურის წნევის დიაპაზონი: საერთო 30 - 130 დბA;
- ხმაურმზომის რეაგირების სისწრაფე: ნელი (1 წამი);
- ხმაურის სიხშირის წონადობა: A წონადობა;
- მიკროფონის ტიპი: 0.5" (12.7მმ) ელ. კონდენსატორი.

## 2.2 გაზომვების ლოკაციები

გაზომვის საკონტროლო წერტილად შეირჩა 5 ლოკაცია:

- #1 ლოკაცია - არსებულ სატერმინალო პარკთან მისასვლელი გზის მიმდებარედ, რომელიც წარმოადგენს ინდუსტრიულ ზონას;

<sup>1</sup> IFC - Environmental, Health, and Safety (EHS) Guidelines GENERAL EHS GUIDELINES: ENVIRONMENTAL - Noise Management



- #2 ლოკაცია - ყველაზე ახლოს მდებარე შენობა, სამხედრო ბაზასთან ახლოს (წარმოადგენს საცხოვრებელ ზონას);
- #3 ლოკაცია - უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (წარმოადგენს საცხოვრებელ ზონას);
- #4 ლოკაცია - საპროექტო ზონის სიახლოვეს მდებარე სატუმბო შენობასთან, რომელიც წარმოადგენს საცხოვრებელ ზონას (გაზომვის განმავლობაში სატუმბო დანადგარები არ მუშაობდნენ);
- #5 ლოკაცია - სატერმინალო პარკში (წარმოადგენს ინდუსტრიულ ზონას).

ქვემოთ სურათზე 7 მოცემულია აღნიშნული ლოკაციების მდებარეობა ორთო ფოტოზე.

#### სურათი 7: ხმაურის გაზომვის ლოკაციები



**შენიშვნა:** წითელი კონტური გვიჩვენებს პორტის ახალ ტერიტორიას, რომელიც ეკუთვნის სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“

ზემოთ მითითებულ ლოკაციებზე ხმაურმზომი აპარატების განთავსების სურათები (8, 9, 10, 11, 12) იხილეთ ქვემოთ.

სურათი 8. აპარატის განთავსება #1 ლოკაციაზე	სურათი 9: აპარატის განთავსება #2 ლოკაციაზე
---	---



	
<p>სურათი 10: აპარატის განთავსება #3 ლოკაციაზე</p>	<p>სურათი 11: აპარატის განთავსება #4 ლოკაციაზე</p>
	
<p>სურათი 12: აპარატის განთავსება# 5 ლოკაციაზე</p>	
	

ვინაიდან #1 ლოკაცია არსებულ სატერმინალო პარკთან მისასვლელი გზის პირას მდებარეობს, მნიშვნელოვანია განსაზღვრულიყო აღნიშნულ გზაზე მოძრავი ავტომობილების ხმაურის გავლენა გზის პირას არსებულ შენობა-ნაგებობებზე. ამისათვის, საკონსულტაციო კომპანიის თანამშრომლებმა, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით, მოახდინეს ვიდეო-სათვალთვალო კამერის განათების ბოძზე მონტაჟი.

## 2.3. მონიტორინგის კამპანიის შედეგები

### სატრანსპორტო ნაკადის რაოდენობა

დაკვირვების პერიოდში არსებულ ტერმინალთან მისასვლელ გზაზე მოძრავი ავტომობილების რაოდენობის საათობრივი მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილში 6.

ცხრილი 6: ავტომობილების რაოდენობა

დრო	მსუბუქი ავტო.	სამარშრუტო ტაქსი / ავტობუსი	სატვირთო ავტო.	მოტოციკლი	ჯამი
12:00 - 13:00	114	13	26	1	154
13:00 - 14:00	98	10	22	1	131
14:00 - 15:00	117	10	31	1	159
15:00 - 16:00	111	2	24	2	139
16:00 - 17:00	85	5	32	2	124
17:00 - 18:00	106	3	27	0	136
18:00 - 19:00	90	8	26	0	124
19:00 - 20:00	110	9	36	0	155
20:00 - 21:00	54	2	31	0	87
21:00 - 22:00	36	0	19	0	55
22:00 - 23:00	29	0	7	0	36
23:00 - 24:00	23	0	16	0	39
00:00 - 01:00	11	0	8	0	19
01:00 - 02:00	18	0	5	0	23
02:00 - 03:00	3	0	0	0	3
03:00 - 04:00	2	0	2	0	4
04:00 - 05:00	6	0	2	0	8
05:00 - 06:00	7	0	0	0	7
06:00 - 07:00	11	0	0	0	11
07:00 - 08:00	41	3	2	0	46
08:00 - 09:00	54	4	8	1	67

09:00 - 10:00	86	4	8	0	98
10:00 - 11:00	111	17	23	1	152
11:00 - 12:00	94	13	30	0	137
<b>ჯამი</b>	<b>1417</b>	<b>103</b>	<b>385</b>	<b>9</b>	<b>1914</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, 24 საათის განმავლობაში სულ ჩაიარა 1914 სატრანსპორტო საშუალებამ. ყველაზე ინტენსიური მოძრაობა იყო 14:00 - 15:00 საათის ინტერვალში. მძიმე ავტომობილების წილი საერთო მოძრაობაში შეადგენს 20%-ს.

#### 2.4 ხმაურის მონიტორინგის შედეგები

ჩატარებული გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მდებარე ცხრილ 7-ში. ცხრილში მდებარე ყოველი მონაცემი გადაჭარბების სტატუსის შესაბამისად გაფერადებულია შესაბამისი ფერით. ფერის მნიშვნელობები იხილეთ ცხრილის ბოლოს. 2, 3 და 4 წერტილები განლაგებულია დასახლებული პუნქტების მიმდებარედ და ამ წერტილებში ხმაურის მაქსიმალური დასაშვები დონეა 55 დბA დღისით და 45 დბA ღამით. რაც შეეხება 1 და 5 წერტილებს, ეს წერტილები მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში და ამ წერტილებში ხმაურის მაქსიმალური დასაშვები ნორმაა 60 დბA.

ცხრილი 7: გაზომვის შედეგები გამოსახული დბA-ში


გაზომვის N გაზომვის დრო	N1 (სათვალთვ ალო კამერასთან )	N2 (სამხედრო ბანაკთან)	N3 (უახლოეს საცხოვრებელ სახლთან)	N4 (სატუმბ შენობას თან)	N5 <sup>2</sup> (სატერმინალო პარკში)
2020/06/04 - 12:00 - 13:00	53,7	49,5	55,2	48,1	57
2020/06/04 - 13:00 - 14:00	51,9	48	49,9	46,8	55,2
2020/06/04 - 14:00 - 15:00	53,8	48,4	49,6	48,7	55,1
2020/06/04 - 15:00 - 16:00	55	49,5	50,1	51,1	57,2
2020/06/04 - 16:00 - 17:00	53,7	48,4	50	48,2	63,3

<sup>2</sup> გაზომვის ლოკაცია მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში.

2020/06/04 - 17:00 - 18:00	54	48,7	50,1	47,8	61,1
2020/06/04 - 18:00 - 19:00	53,6	50	50,2	48,3	62,9
2020/06/04 - 19:00 - 20:00	51,2	46,8	46,2	42,5	50,3
2020/06/04 - 20:00 - 21:00	49,1	42,7	44,1	44,3	50,5
2020/06/04 - 21:00 - 22:00	50,8	42,1	42,7	44,2	49,1
2020/06/04 - 22:00 -23:00	48,9	42,7	39,9	44,4	48
2020/06/04 - 23:00 - 24:00	51,2	45,4	42,9	47,6	52,8
2020/06/05 - 00:00 - 01:00	48,9	43,7	49,1	46,4	51,3
2020/06/05 - 01:00 - 02:00	46,7	41,5	40,9	41,8	46,2
2020/06/05 - 02:00 - 03:00	44,6	37,6	37	38,3	42,9
2020/06/05 - 03:00 - 04:00	44,4	41	37,3	39,4	44,1
2020/06/05 - 04:00 - 05:00	43,2	43,1	45,6	39	43,5
2020/06/05 - 05:00 - 06:00	42,7	46,7	46,9	44,3	41,9
2020/06/05 - 06:00 - 07:00	43	45,2	43,2	45,1	42,9
2020/06/05 - 07:00 - 08:00	43,7	43,6	42,4	42	41,6
2020/06/05 - 08:00 - 09:00	47,1	43,5	45,7	44	53,8
2020/06/05 - 09:00 - 10:00	48,4	44,8	53,4	43,2	56,8

2020/06/05 - 10:00 - 11:00	49,1	43,6	45,9	44,7	50
2020/06/05 - 11:00 - 12:00	50,3	42,8	46,9	46,8	53,3

 - დღის საათები

 - ღამის საათები

 - გადაჭარბება

 - ნორმა

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საკონტეინერო პარკში გაიხსნა 35 კონტეინერი და გადმოვიდულ იქნა 80 ავტომობილი. “APM Terrminal”-ის დისპეტჩერის თქმით, გახსნილი კონტეინერის აღნიშნული რაოდენობა ჩვეულ რეჟიმთან შედარებით დაბალია (ნორმა შეადგენს დაახლოებით 60 კონტეინერის გახსნას დღეში).

1 და 5 წერტილებში (ინდუსტრიული ზონა) ხმაურის დონე ნორმაში იყო, როგორც დღისით, ისე ღამით. IFC-ის სტანდარტებისა და საქართველოს სტანდარტების მიხედვით, მოცემულ ლოკაციაზე ხმაურის დონე დასაშვებ ნორმებში იყო (70 დბ ინდუსტრიული ზონისთვის).

როგორც **ცხრილი 7** გვიჩვენებს, ხმაურის დონის გადაჭარბება საცხოვრებელ ზონაში დაფიქსირებულია ძირითადად ღამით. მე-3 და მე-4 წერტილებში (საცხოვრებელი სახლების მახლობლად) ხმაურის დონე ნორმის ფარგლებში იყო დღის განმავლობაში, გარდა მე-3 – ე წერტილში ერთი გაზომვისა (55,2 დბA, ჩანაწერი გაკეთდა 12 – დან 13 საათამდე) და ნორმას რამდენჯერმე გადააჭარბა 4 დბ(ა)-ით ღამით.

როგორც გაზომვის შედეგები აჩვენებს, სატერმინალო პარკში ხმაურის დონის გაზრდა გავლენას არ ახდენს მიმდებარე რეცეპტორებზე, მაგ. 14:00 - 15:00 საათზე ტერმინალის პარკში ხმაურის დონე 55,1 დბ(ა)-ს შეადგენს და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან - 49,6 დბA -ს; 16:00 - 17:00 საათზე, კონტეინერების ფლიგელში ხმაურის დონე იზრდება 8,2 დბA-ით და შეადგენს 63,3 დბA-ს, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლში ხმაურის დონე იზრდება უმნიშვნელოდ, 0,4 დბ(ა)-ით და შეადგენს 50 დბ(ა)-ს.

ფიგურების მსგავსი თანაფარდობა სხვა ადგილებშიც ჩანს. 23:00 - 24:00 საათზე ვიდეო-კამერის მახლობლად ხმაურის დონე იზრდება და 6,2 დბA-ით აჭარბებს კანონით გათვალისწინებულ ნორმას, თუმცა ავტომობილების დათვლის ცხრილთან შედარების

შედეგად, შესამჩნევია, რომ აღნიშნული ხმაურის დონის მომატება არ არის გამოწვეული ავტომობილების რაოდენობის ზრდით.

იმის გამო, რომ აღნიშნული პროექტი არ გამოიყენებს კონტეინერების ტერიტორიისკენ მიმავალ არსებულ გზას მშენებლობის ან ექსპლუატაციის ფაზების განმავლობაში, დამატებითი გამოკვლევების ჩატარებას და ხმაურის სხვა წყაროების იდენტიფიცირებას პროექტისთვის აზრი არ აქვს.

ქვემოთ ცხრილებში 8, 9, 10, 11, 12 მოცემულია ყოველი გაზომვის საათობრივი და საშუალო დღე-ღამური ხმაურის დონეების (დბA) პროგრამული ამონაწერი. აღნიშნულ ლოკაციებთან ხმაურის გაზომვის შედეგების გრაფიკული გამოსახულებები მოცემულია დანართში 4 - ფონური ხმაურის გაზომვის შედეგების ანგარიში.

ცხრილი 8: #1 ლოკაციაზე გაზომვა		
თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/04 - 2020/06/04	N1 - სათვალთვალ კამერასთან	მდებარეობს საპროექტო ზონაში
N1 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-23:00)	ღამე (23:00-08:00)
	51	46
საათობრივი		
1	2020/06/04 - 12:00 - 13:00	53,7
2	2020/06/04 - 13:00 - 14:00	51,9
3	2020/06/04 - 14:00 - 15:00	53,8
4	2020/06/04 - 15:00 - 16:00	55
5	2020/06/04 - 16:00 - 17:00	53,7
6	2020/06/04 - 17:00 - 18:00	54
7	2020/06/04 - 18:00 - 19:00	53,6
8	2020/06/04 - 19:00 - 20:00	51,2
9	2020/06/04 - 20:00 - 21:00	49,1

10	2020/06/04 - 21:00 - 22:00	50,8
11	2020/06/04 - 22:00 - 23:00	48,9
12	2020/06/04 - 23:00 - 24:00	51,2
13	2020/06/05 - 00:00 - 01:00	48,9
14	2020/06/05 - 01:00 - 02:00	46,7
15	2020/06/05 - 02:00 - 03:00	44,6
16	2020/06/05 - 03:00 - 04:00	44,4
17	2020/06/05 - 04:00 - 05:00	43,2
18	2020/06/05 - 05:00 - 06:00	42,7
19	2020/06/05 - 06:00 - 07:00	43
20	2020/06/05 - 07:00 - 08:00	43,7
21	2020/06/05 - 08:00 - 09:00	47,1
22	2020/06/05 - 09:00 - 10:00	48,4
23	2020/06/05 - 10:00 - 11:00	49,1
24	2020/06/05 - 11:00 - 12:00	50,3

ცხრილი 9: #2 ლოკაციაზე გაზომვა		
თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/04 - 2020/06/04	N2 - სამხედრო ბანაკთან	200 მ.
N2 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-23:00)	ღამე (23:00-08:00)
	46,2	43
საათობრივი		
1	2020/06/04 - 12:00 - 13:00	49,5
2	2020/06/04 - 13:00 - 14:00	48

3	2020/06/04 - 14:00 - 15:00	48,4
4	2020/06/04 - 15:00 - 16:00	49,5
5	2020/06/04 - 16:00 - 17:00	48,4
6	2020/06/04 - 17:00 - 18:00	48,7
7	2020/06/04 - 18:00 - 19:00	50
8	2020/06/04 - 19:00 - 20:00	46,8
9	2020/06/04 - 20:00 - 21:00	42,7
10	2020/06/04 - 21:00 - 22:00	42,1
11	2020/06/04 - 22:00 - 23:00	42,7
12	2020/06/04 - 23:00 - 24:00	45,4
13	2020/06/05 - 00:00 - 01:00	43,7
14	2020/06/05 - 01:00 - 02:00	41,5
15	2020/06/05 - 02:00 - 03:00	37,6
16	2020/06/05 - 03:00 - 04:00	41
17	2020/06/05 - 04:00 - 05:00	43,1
18	2020/06/05 - 05:00 - 06:00	46,7
19	2020/06/05 - 06:00 - 07:00	45,2
20	2020/06/05 - 07:00 - 08:00	43,6
21	2020/06/05 - 08:00 - 09:00	43,5
22	2020/06/05 - 09:00 - 10:00	44,8
23	2020/06/05 - 10:00 - 11:00	43,6
24	2020/06/05 - 11:00 - 12:00	42,8

ცხრილი 10: N3 გაზომვა		
თარიღი	ადგილი	დამორება საპროექტო ზონიდან
2020/06/04 - 2020/06/04	N3 - უახლოეს საცხოვრებელ სახლთან	250 მ.



N3 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-23:00)	ღამე (23:00-08:00)
	48,2	42,5
საათობრივი		
1	2020/06/04 - 12:00 - 13:00	55,2
2	2020/06/04 - 13:00 - 14:00	49,9
3	2020/06/04 - 14:00 - 15:00	49,6
4	2020/06/04 - 15:00 - 16:00	50,1
5	2020/06/04 - 16:00 - 17:00	50
6	2020/06/04 - 17:00 - 18:00	50,1
7	2020/06/04 - 18:00 - 19:00	50,2
8	2020/06/04 - 19:00 - 20:00	46,2
9	2020/06/04 - 20:00 - 21:00	44,1
10	2020/06/04 - 21:00 - 22:00	42,7
11	2020/06/04 - 22:00 - 23:00	39,9
12	2020/06/04 - 23:00 - 24:00	42,9
13	2020/06/05 - 00:00 - 01:00	49,1
14	2020/06/05 - 01:00 - 02:00	40,9
15	2020/06/05 - 02:00 - 03:00	37
16	2020/06/05 - 03:00 - 04:00	37,3
17	2020/06/05 - 04:00 - 05:00	45,6
18	2020/06/05 - 05:00 - 06:00	46,9
19	2020/06/05 - 06:00 - 07:00	43,2
20	2020/06/05 - 07:00 - 08:00	42,4
21	2020/06/05 - 08:00 - 09:00	45,7
22	2020/06/05 - 09:00 - 10:00	53,4
23	2020/06/05 - 10:00 - 11:00	45,9

24	2020/06/05 - 11:00 - 12:00	46,9
----	----------------------------	------

ცხრილი 11: #4 გაზომვა		
თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/04 - 2020/06/04	N4 - სატუმბთან	200 მ.
N4 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-23:00)	ღამე (23:00-08:00)
	46,1	42,9
საათობრივი		
1	2020/06/04 - 12:00 - 13:00	48,1
2	2020/06/04 - 13:00 - 14:00	46,8
3	2020/06/04 - 14:00 - 15:00	48,7
4	2020/06/04 - 15:00 - 16:00	51,1
5	2020/06/04 - 16:00 - 17:00	48,2
6	2020/06/04 - 17:00 - 18:00	47,8
7	2020/06/04 - 18:00 - 19:00	48,3
8	2020/06/04 - 19:00 - 20:00	42,5
9	2020/06/04 - 20:00 - 21:00	44,3
10	2020/06/04 - 21:00 - 22:00	44,2
11	2020/06/04 - 22:00 - 23:00	44,4
12	2020/06/04 - 23:00 - 24:00	47,6
13	2020/06/05 - 00:00 - 01:00	46,4
14	2020/06/05 - 01:00 - 02:00	41,8
15	2020/06/05 - 02:00 - 03:00	38,3
16	2020/06/05 - 03:00 - 04:00	39,4

17	2020/06/05 - 04:00 - 05:00	39
18	2020/06/05 - 05:00 - 06:00	44,3
19	2020/06/05 - 06:00 - 07:00	45,1
20	2020/06/05 - 07:00 - 08:00	42
21	2020/06/05 - 08:00 - 09:00	44
22	2020/06/05 - 09:00 - 10:00	43,2
23	2020/06/05 - 10:00 - 11:00	44,7
24	2020/06/05 - 11:00 - 12:00	46,8

ცხრილი 12: N5 გაზომვა		
თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/04 - 2020/06/04	N5 - სატერმინალო პარკში	მდებარეობს საპროექტო ზონაში
N5 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-23:00)	ღამე (23:00-08:00)
	54,5	46
საათობრივი		
1	2020/06/04 - 12:00 - 13:00	57
2	2020/06/04 - 13:00 - 14:00	55,2
3	2020/06/04 - 14:00 - 15:00	55,1
4	2020/06/04 - 15:00 - 16:00	57,2
5	2020/06/04 - 16:00 - 17:00	63,3
6	2020/06/04 - 17:00 - 18:00	61,1
7	2020/06/04 - 18:00 - 19:00	62,9

8	2020/06/04 - 19:00 - 20:00	50,3
9	2020/06/04 - 20:00 - 21:00	50,5
10	2020/06/04 - 21:00 - 22:00	49,1
11	2020/06/04 - 22:00 - 23:00	48
12	2020/06/04 - 23:00 - 24:00	52,8
13	2020/06/05 - 00:00 - 01:00	51,3
14	2020/06/05 - 01:00 - 02:00	46,2
15	2020/06/05 - 02:00 - 03:00	42,9
16	2020/06/05 - 03:00 - 04:00	44,1
17	2020/06/05 - 04:00 - 05:00	43,5
18	2020/06/05 - 05:00 - 06:00	41,9
19	2020/06/05 - 06:00 - 07:00	42,9
20	2020/06/05 - 07:00 - 08:00	41,6
21	2020/06/05 - 08:00 - 09:00	53,8
22	2020/06/05 - 09:00 - 10:00	56,8
23	2020/06/05 - 10:00 - 11:00	50
24	2020/06/05 - 11:00 - 12:00	53,3

### 3. დამატებითი გაზომვები

არასამთავრობო ორგანიზაცია „დიოსკურია“-ს დირექტორის ხელმძღვანელისა და ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, საკონსულტაციო კომპანიამ ჩაატარა ხმაურის დამატებითი გაზომვები. ვინაიდან სატერმინალო ტერიტორიიდან გამოსული ავტომობილები გადაადგილდებიან ჯავახიშვილის ქუჩის გავლით, ამ ქუჩის მაცხოვრებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ხმაურის შესახებ. მათი თხოვნით ხმაურმზომები განთავსდა ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსის აივანზე. ვინაიდან კორპუსების მიმდებარედ განთავსებულია ბეტონის ბარიერი, ორივე კორპუსის შემთხვევაში აპარატები განთავსდა მეოთხე სართულზე, სადაც საგზაო ხმაურის ზეგავლენა ყველაზე თვალსაჩინოა. გარდა ჯავახიშვილის ქუჩისა, აპარატები, ასევე განთავსდა ტაბიძისა და ფალიაშვილის ქუჩაზე არსებულ შენობების აივნებზე. ფალიაშვილის ქუჩის შემთხვევაში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სატვირთო ავტომობილების გადაადგილებასთან დაკავშირებით, ხოლო ტაბიძის ქუჩის შემთხვევაში - სარკინიგზო გადაადგილებასთან. ქვემოთ სურათებზე მოცემულია ხმაურის დამატებითი გაზომვის ჩატარებასთან დაკავშირებით, აღნიშნული ქუჩების მოსახლეობასთან შეხვედრები.

<p>სურათი 13: დამატებითი გაზომვებთან დაკავშირებული შეხვედრები</p>	<p>სურათი 14: დამატებითი გაზომვებთან დაკავშირებული შეხვედრები</p>
	
<p>სურათი 15: დამატებითი გაზომვებთან დაკავშირებული შეხვედრები</p>	
	

შეთანხმების შედეგად, გამოიყო ოთხი ლოკაცია, სადაც უნდა განთავსებულიყო ხმაურმზომები. აღნიშნული ლოკაციებია:

1. ჯავახიშვილის ქუჩა - 2 საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართული;
2. ტაბიძის ქუჩა - სარკინიგზო ხაზთან მდებარე უახლოესი საცხოვრებელი სახლი;
3. ფალიაშვილის ქუჩა - საავტომობილო გზასთან მდებარე შენობა;
4. სატერმინალო პარკთან მიმდებარე ტერიტორია.

ქვემოთ სურათზე 16 მოცემულია დამატებითი გაზომვის წერტილები.

**სურათი 16: დამატებითი გაზომვის წერტილები**






კომპანიის წარმომადგენლებმა შემუშავებული მეთოდოლოგიისა და პროცედურების შესაბამისად მოახდინეს ხმაურმზომი აპარატების განთავსება. ხმაურმზომის კონფიგურაცია:

- ხმაურის წნევის დიაპაზონი: საერთო 30 - 130 dB;
- ხმაურმზომის რეაგირების სისწრაფე: ნელი (1 წამი);
- ხმაურის სიხშირის წონალობა: A წონალობა;
- მიკროფონის ტიპი: 0.5" (12.7მმ) ელ. კონდენსატორი.

ზემოთ მითითებულ ლოკაციებზე ხმაურმზომი აპარატების განთავსების სურათები (17, 18, 19, 20) იხილეთ ქვემოთ.

სურათი 17: ხმაურმზომის განთავსება ჯავახიშვილის ქუჩაზე	სურათი 18: ხმაურმზომის განთავსება ჯავახიშვილის ქუჩაზე
სურათი 19: ხმაურმზომის განთავსება ტაბიძის ქუჩაზე	სურათი 20: ხმაურმზომის განთავსება ფალიაშვილის ქუჩაზე



ჩატარებული გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილ 13-ში. ცხრილში მდებარე ყოველი მონაცემი გადაჭარბების სტატუსის შესაბამისად გაფერადებულია შესაბამისი ფერით. ფერის მნიშვნელობები იხილეთ ცხრილის ბოლოს. დამატებითი გაზომვის შედეგების გრაფიკული გამოსახულებები ლოკაციებთან #1, #2, #3, #4, #5 მოცემულია დანართში 4.

ცხრილი 13: გაზომვის შედეგები გამოსახული dBA-ში

გაზომვის #	#1 (ფალიაშვილის ქ.)	#2 (ტერმინალთან)	#3 (ჯავახიშვილის ქ.)	#4 (ჯავახიშვილის ქ.)	#5 (ტაბიძის ქ.)
გაზომვის ს დრო					
2020/06/08 - 14:00 - 15:00	57,8	54,2	58,1	59,6	47
2020/06/08 - 15:00 - 16:00	58,2	51	60,5	62	48,5
2020/06/08 - 16:00 - 17:00	53,5	48,5	57,6	57,1	46,2

2020/06/0 8 - 17:00 - 18:00	54,5	48,5	59,8	59,9	45,4
2020/06/0 8 - 18:00 - 19:00	55,4	52,1	61,6	62,3	45
2020/06/0 8 - 19:00 - 20:00	55,9	52,3	62,2	63,4	44,3
2020/06/0 8 - 20:00 - 21:00	55,4	52,2	61,3	62,1	45,6
2020/06/0 8 - 21:00 - 22:00	59,6	54,8	62,3	63,8	45,4
2020/06/0 8 - 22:00 - 23:00	57,7	56,5	59,9	61,6	42,7
2020/06/0 8 - 23:00 - 24:00	52,1	43,9	59,7	60,6	49
2020/06/0 9 - 00:00 - 01:00	51,4	45,3	60,5	61,4	42,8
2020/06/0 9 - 01:00 - 02:00	52,7	56,6	60,5	60,9	44,2
2020/06/0 9 - 02:00 - 03:00	54,2	53,4	57,6	58,4	40,8
2020/06/0 9 - 03:00 - 04:00	53,9	50,7	57,7	59,8	39,6
2020/06/0 9 - 04:00 - 05:00	52,7	50,7	54,4	56,2	38,7



2020/06/0 9 - 05:00 - 06:00	50,6	-	51,2	53,4	42,9
2020/06/0 9 - 06:00 - 07:00	-	-	-	-	43,9
2020/06/0 9 - 07:00 - 08:00	-	-	-	-	45,6
2020/06/0 9 - 08:00 - 09:00	-	-	-	-	44,5
2020/06/0 9 - 09:00 - 10:00	-	-	-	-	45,2
2020/06/0 9 - 10:00 - 11:00	-	-	-	-	43,2
2020/06/0 9 - 11:00 - 12:00	-	-	-	-	43,1
2020/06/0 9 - 12:00 - 13:00	-	-	-	-	45,5
2020/06/0 9 - 13:00 - 14:00	-	-	-	-	42,8



- დღის საათები



- ღამის საათები



- გადაჭარბება



- ნორმა

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხმაურის დასაშვები ნორმების გადაჭარბება ფიქსირდება ძირითადად ჯავახიშვილის და ფალიაშვილის ქუჩის საცხოვრებელ სახლებზე. ამასთან, მნიშვნელოვანი გადაჭარბება აღინიშნება ჯავახიშვილის ქუჩის საცხოვრებელ კორპუსებზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ იმავე პერიოდში სატერმინალო პარკთან არსებული ხმაურის მაჩვენებლები საგრძნობლად დაბალია, რის შედეგადაც დგინდება, რომ კორპუსებზე ხმაურის გავრცელების ერთადერთ მნიშვნელოვან წყაროს მხოლოდ სატერმინალო პარკიდან გამოსული მანქანები არ წარმოადგენენ.

შედარებით დაბალი გადაჭარბება ფიქსირდება ფალიაშვილის ქუჩაზე დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში ფიქსირდება მნიშვნელოვანი გადაჭარბება. ტაბიძის ქუჩის შენობაზე გადაჭარბება მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში ფიქსირდება.

ქვემოთ ცხრილებში 14, 15, 16, 17, 18 მოცემულია ყოველი გაზომვის საათობრივი და საშუალო დღე-ღამური ხმაურის დონეების (დბA) პროგრამული ამონაწერი.

**ცხრილი 14: #1 გაზომვა**

თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/11 - 2020/06/12	N1 - ფალიაშვილის ქუჩა	სატვირთო ავტომობილების სავალ გზაზე
#1 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-22:00)	ღამე (22:00-08:00)
	55,6	52,8
საათობრივი		
1	2020/06/11 - 11:00 - 12:00	57,8
2	2020/06/11 - 12:00 - 13:00	58,2
3	2020/06/11 - 13:00 - 14:00	53,5
4	2020/06/11 - 14:00 - 15:00	54,5
5	2020/06/11 - 15:00 - 16:00	55,4
6	2020/06/11 - 16:00 - 17:00	55,9

7	2020/06/11 - 17:00 - 18:00	55,4
8	2020/06/11 - 18:00 - 19:00	59,6
9	2020/06/11 - 19:00 - 20:00	57,7
10	2020/06/11 - 20:00 - 21:00	52,1
11	2020/06/11 - 21:00 - 22:00	51,4
12	2020/06/11 - 22:00 - 23:00	52,7
13	2020/06/11 - 23:00 - 24:00	54,2
14	2020/06/12 - 00:00 - 01:00	53,9
15	2020/06/12 - 01:00 - 02:00	52,7
16	2020/06/12 - 02:00 - 03:00	50,6
17	2020/06/12 - 03:00 - 04:00	-
18	2020/06/12 - 04:00 - 05:00	-
19	2020/06/12 - 05:00 - 06:00	-
20	2020/06/12 - 06:00 - 07:00	-
21	2020/06/12 - 07:00 - 08:00	-
22	2020/06/12 - 08:00 - 09:00	-
23	2020/06/12 - 09:00 - 10:00	-
24	2020/06/12 - 10:00 - 11:00	-

ცხრილი 15: #2 გაზომვა

თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/11 - 2020/06/12	N2 - სატერმინალო პარკთან	მდებარეობს საპროექტო ზონაში
#2 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-22:00)	ღამე (22:00-08:00)
	50,8	52,9
საათობრივი		

1	2020/06/11 - 11:00 - 12:00	54,2
2	2020/06/11 - 12:00 - 13:00	51
3	2020/06/11 - 13:00 - 14:00	48,5
4	2020/06/11 - 14:00 - 15:00	48,5
5	2020/06/11 - 15:00 - 16:00	52,1
6	2020/06/11 - 16:00 - 17:00	52,3
7	2020/06/11 - 17:00 - 18:00	52,2
8	2020/06/11 - 18:00 - 19:00	54,8
9	2020/06/11 - 19:00 - 20:00	56,5
10	2020/06/11 - 20:00 - 21:00	43,9
11	2020/06/11 - 21:00 - 22:00	45,3
12	2020/06/11 - 22:00 - 23:00	56,6
13	2020/06/11 - 23:00 - 24:00	53,4
14	2020/06/12 - 00:00 - 01:00	50,7
15	2020/06/12 - 01:00 - 02:00	50,7
16	2020/06/12 - 02:00 - 03:00	-
17	2020/06/12 - 03:00 - 04:00	-
18	2020/06/12 - 04:00 - 05:00	-
19	2020/06/12 - 05:00 - 06:00	-
20	2020/06/12 - 06:00 - 07:00	-
21	2020/06/12 - 07:00 - 08:00	-
22	2020/06/12 - 08:00 - 09:00	-
23	2020/06/12 - 09:00 - 10:00	-
24	2020/06/12 - 10:00 - 11:00	-

ცხრილი 16: #3 გაზომვა

თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
--------	--------	-------------------------------

2020/06/11 - 2020/06/12	N3 - ჯავახიშვილის ქუჩა	830 მ. გადამზიდავი ტრანსპორტის სავალ გზაზე
#3 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-22:00)	ღამე (22:00-08:00)
	60,3	56,3
საათობრივი		
1	2020/06/11 - 11:00 - 12:00	58,1
2	2020/06/11 - 12:00 - 13:00	60,5
3	2020/06/11 - 13:00 - 14:00	57,6
4	2020/06/11 - 14:00 - 15:00	59,8
5	2020/06/11 - 15:00 - 16:00	61,6
6	2020/06/11 - 16:00 - 17:00	62,2
7	2020/06/11 - 17:00 - 18:00	61,3
8	2020/06/11 - 18:00 - 19:00	62,3
9	2020/06/11 - 19:00 - 20:00	59,9
10	2020/06/11 - 20:00 - 21:00	59,7
11	2020/06/11 - 21:00 - 22:00	60,5
12	2020/06/11 - 22:00 - 23:00	60,5
13	2020/06/11 - 23:00 - 24:00	57,6
14	2020/06/12 - 00:00 - 01:00	57,7
15	2020/06/12 - 01:00 - 02:00	54,4
16	2020/06/12 - 02:00 - 03:00	51,2
17	2020/06/12 - 03:00 - 04:00	-
18	2020/06/12 - 04:00 - 05:00	-
19	2020/06/12 - 05:00 - 06:00	-
20	2020/06/12 - 06:00 - 07:00	-
21	2020/06/12 - 07:00 - 08:00	-

22	2020/06/12 - 08:00 - 09:00	-
23	2020/06/12 - 09:00 - 10:00	-
24	2020/06/12 - 10:00 - 11:00	-

**ცხრილი 17: #4 გაზომვა**

თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/11 - 2020/06/12	N4 - ჯავახიშვილის ქუჩა	870 მ. გადამზიდავი ტრანსპორტის სავალ გზაზე
#4 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-22:00)	ღამე (22:00-08:00)
	61,3	57,7
საათობრივი		
1	2020/06/11 - 11:00 - 12:00	59,6
2	2020/06/11 - 12:00 - 13:00	62
3	2020/06/11 - 13:00 - 14:00	57,1
4	2020/06/11 - 14:00 - 15:00	59,9
5	2020/06/11 - 15:00 - 16:00	62,3
6	2020/06/11 - 16:00 - 17:00	63,4
7	2020/06/11 - 17:00 - 18:00	62,1
8	2020/06/11 - 18:00 - 19:00	63,8
9	2020/06/11 - 19:00 - 20:00	61,6
10	2020/06/11 - 20:00 - 21:00	60,6
11	2020/06/11 - 21:00 - 22:00	61,4
12	2020/06/11 - 22:00 - 23:00	60,9
13	2020/06/11 - 23:00 - 24:00	58,4
14	2020/06/12 - 00:00 - 01:00	59,8

15	2020/06/12 - 01:00 - 02:00	56,2
16	2020/06/12 - 02:00 - 03:00	53,4
17	2020/06/12 - 03:00 - 04:00	-
18	2020/06/12 - 04:00 - 05:00	-
19	2020/06/12 - 05:00 - 06:00	-
20	2020/06/12 - 06:00 - 07:00	-
21	2020/06/12 - 07:00 - 08:00	-
22	2020/06/12 - 08:00 - 09:00	-
23	2020/06/12 - 09:00 - 10:00	-
24	2020/06/12 - 10:00 - 11:00	-

**ცხრილი 18: #5 გაზომვა**

თარიღი	ადგილი	დაშორება საპროექტო ზონიდან
2020/06/08 - 2020/06/09	N5 - ტაბიძის ქუჩა	ქალაქის სარკინიგზო ჩიხთან
#5 გაზომვის შედეგები		
საშუალო	დღე (08:00-22:00)	ღამე (22:00-08:00)
	45,2	42,7
საათობრივი		
1	2020/06/08 - 14:00 - 15:00	47
2	2020/06/08 - 15:00 - 16:00	48,5
3	2020/06/08 - 16:00 - 17:00	46,2
4	2020/06/08 - 17:00 - 18:00	45,4
5	2020/06/08 - 18:00 - 19:00	45
6	2020/06/08 - 19:00 - 20:00	44,3
7	2020/06/08 - 20:00 - 21:00	45,6

8	2020/06/08 - 21:00 - 22:00	45,4
9	2020/06/08 - 22:00 - 23:00	42,7
10	2020/06/08 - 23:00 - 24:00	49
11	2020/06/09 - 00:00 - 01:00	42,8
12	2020/06/09 - 01:00 - 02:00	44,2
13	2020/06/09 - 02:00 - 03:00	40,8
14	2020/06/09 - 03:00 - 04:00	39,6
15	2020/06/09 - 04:00 - 05:00	38,7
16	2020/06/09 - 05:00 - 06:00	42,9
17	2020/06/09 - 06:00 - 07:00	43,9
18	2020/06/09 - 07:00 - 08:00	45,6
19	2020/06/09 - 08:00 - 09:00	44,5
20	2020/06/09 - 09:00 - 10:00	45,2
21	2020/06/09 - 10:00 - 11:00	43,2
22	2020/06/09 - 11:00 - 12:00	43,1
23	2020/06/09 - 12:00 - 13:00	45,5
24	2020/06/09 - 13:00 - 14:00	42,8

### 3.1 დასკვნები

ფოთის ახალი პორტის ტერიტორიაზე, რომლის ნაწილზეც ამჟამად საკონტეინერო ტერმინალია განლაგებული, ხმაურის დონე ნორმის ფარგლებშია, როგორც დღის, ასევე ღამის განმავლობაში. აღნიშნული ტერიტორია 400-500 მეტრითაა დაშორებული უახლოესი დასახლებული პუნქტებიდან, შესაბამისად, საკონტეინერო ტერმინალიდან ხმაური ვერ აღწევს დასახლებულ პუნქტებამდე.

